# სადებეტო ბარათები!




სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკის „ტაოპრივატბანკი“-ს მიერ ემიტირებული, საერთაშორისო საგადახდო სისტემების Visa International/MasterCard International საბანკო ბარათები.

აღნიშნული კლასის ბარათებს გააჩნიათ უსაფრთხოების მაღალი დონე, რადგან ყველა სახის ოპერაციები ტარდება PIN-კოდის სავალდებულო შეყვანით. ბარათი არ არის პერსონიფიცირებული. *მომენტალური გამოშვების ბარათი - ფულადი სახსრების განთავსების ყველაზე იაფი, უსაფრთხო და მოხერხებული საშუალება ხანგრძლივი მოგზაურობის დროს როგორც საქართველოში ფარგლებში, ასევე საზღვარგარეთ.*




სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკის „ტაოპრივატბანკი“-ს მიერ ემიტირებული, საერთაშორისო საგადახდო სისტემების Visa International/MasterCard International საბანკო ბარათები (კლასიკური).

*Visa Classic და MasterCard Standard - ერთი კლასის, თანაბარი შესაძლებლობების, მაგრამ სხვადასხვა საგადახდო სისტემების ბარათები.*

ეს არის მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ბარათები, რომლებსაც გააჩნიათ ღირებულებისა და შემოთავაზებული მომსახურების სპექტრის უნიკალური თანაფარდობა. ისინი გახდნენ სტანდარტი თავიანთ სფეროში, მათში შეხამებულია კომფორტულობა და მაღალი სანდოობა.

მომენტალური გამოშვების ბარათები - საერთაშორისო.

*საბარათე ანგარიშის ვალუტა: GEL,USD*

*ბარათის მოქმედების ვადა - 3 წელი, ბარათები არ არის ემბოსირებული (ე.ი. ბარათზე არ არის ამოტვიფრული კლიენტის გვარი, სახელი, მამის სახელი), ფოტოს გარეშე.*

დამატებითი ბარათები გათვალისწინებული არ არის.

***მომენტალური გამოშვების ბარათის გამოშვება და გაფორმება***

ბარათების გამოშვება ხორციელდება „მომენტალური გამოშვების“ ტექნოლოგიით - ბანკის განყოფილებაში მომართვისას.

**ბარათი კლიენტს გადაეცემა** კლიენტის მიერ დოკუმენტების **გაფორმებისთანავე.**

*პოტენციური მომხმარებლები:*

- ისინი, ვინც მიემგზავრება შვებულებაში, მოგზაურობაში, მივლინებაში და ა.შ;
- ადამიანები, რომლებმაც იციან დროის ფასი და სურთ ბარათის მიღება 10-15 წუთში.

*საგადახდო სისტემები* - Visa International/MasterCard International

*საბარათე ანგარიშის ვალუტა:* GEL, USD

*ბარათის მოქმედების ვადა - 2 წელი.*

კომპლექტში Visa Classic შედის: ძირითადი ბარათი Visa Classic, დამატებითი ბარათები - Visa Classic, Visa Electron.

კომპლექტში MasterCard Standard შედის: ძირითადი ბარათი MasterCard Standard, დამატებითი ბარათები - MasterCard, MasterCard Standard, Cirrus Maestro.

**იმ კლიენტებს, რომლებიც აპირებენ ისარგებლონ ბარათით** ამერიკაში, ვთავაზობთ ბარათს Visa Classic, **ხოლო** ევროპაში - ბარათს MasterCard Standard

*პირადი ბარათების გამოშვება და გაფორმება*

ბარათების გამოშვება ხორციელდება კლიენტის მომართვისას ბანკის განყოფილებაში, კლიენტის მიერ დოკუმენტების შევსების შემდეგ.

ბარათი ფოტოსურათით.დამზადების ვადა - 14 დღემდე.

თქვენს მიერ შემოტანილი განაცხადის მიღების შემდეგ ბანკი უკავშირდება კლიენტს და იწვევს ნებისმიერ განყოფილებაში ბარათის მისაღებად.

ბარათის გასაფორმებლად კლიენტმა უნდა წარმოადგინოს პასპორტი და გადასახადის გადამხდელის კოდი

*ტაოპრივატბანკის სადებეტო ბარათების თავისებურებები და უპირატესობები:*

- ✓ **მომენტალურიVisa Classic/Mastercard Mass** დონის ბარათი - ფულადი სახსრების შენახვის და დაგროვების მოხერხებული საშუალება, სანდო ელექტრონული საფულე, რომელი მუდამ თქვენთანაა საჭირო მომენტში.
- ✓ 1%-დან 8% მოხსნის საკომისიო მთელი საქართველოს მასშტაბით ტაოპრივატბანკის ქსელში - „გამოიტანე მეტი - გადაიხადე ნაკლები“.
- ✓ საზღვარგარეთ გამგზავრებისას არა არის საჭირო ბარათის თანხის დეკლარირება.
- ✓ სასტუმროების დაჯავშნის, ავტომობილების დაქირავების შესაძლებლობა (მხოლოდ ბარათებისთვის Classic/Mass).
- ✓ სავაჭრო - სერვისულ ქსელში უფასო სარგებლობა
- ✓ საერთაშორისო ბარათი ინტერნეტში სარგებლობის შესაძლებლობით.
- ✓ მსოფლიოში ყველაზე ფართო სავაჭრო-სერვისულ ქსელთან, ბანკების განყოფილებებთან და ბანკომატებთან წვდომა.
- ✓ დამატებითი ბარათის გაფორმების შესაძლებლობა ნდობით აღჭურვილი პირისთვის (მხოლოდ Classic/Mass ბარათებისთვის).
- ✓ ბარათის საზღვარგარეთ დაკარგვისას შესაძლებელია ნაღდი ფულის სასწრაფო მიღება, აგრეთვე დროებითი ბარათის სასწრაფო მიღება (მხოლოდ Classic/Mass ბარათებისთვის).
- ✓ კლიენტთა სადღეღამისო მხარდაჭერა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში - +995 32 55 55 55

## კლიენტმა განაცხადა თანხმობა სადებეტო ბარათის გაფორმებაზე?

1. *გააფრხთილეთ კლიენტი, რომ მას დაუკავშირდება ბანკის თანამშრომელი.*
2. *შეიტანეთ განაცხადი.*

## გისურვებთ წარმატებულ გაყიდვებს!!!